სატენდერო დოკუმენტაცია
შპს "გრადა წერეთლის" მიერ ქვაბულისა და შენობის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შემუშავებულია შპს „გრადა წერეთლის" (შემდგომში - "შემსყიდველი") მიერ და გადაეცემა პოტენციურ მიმწოდებელს შესაბამისი სატენდერო განაცხადის მოსამზადებლად.

1. ზოგადი დებულებები

1.1. სატენდერო დოკუმენტაცია განკუთვნილია პოტენციური მიმწოდებლისათვის და მიზნად ისახავს მისთვის სატენდერო პირობების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას.

1.2. ტენდერი ტარდება ქვაბულისა და შენობის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოების (შემდგომში - "სამუშაოები") მიმწოდებლის გამოსავლენად.

1.3. პოტენციურ მიმწოდებელს სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა მოთხოვნისთანავე.

2. სამუშაოები

2.1. სამუშაოების დასახელება: მიწის სამუშაოები და შენობის ხიმინჯების მოწყობა. სამუშაოების მოცულობა და აღწერა მითითებულია სამუშაოების მოცულობათა უწყისში.

2.2. პოტენციურ მიმწოდებლებთან გაიგზავნება შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ინსტრუქცია მონაწილეთათვის (არსებული საბუთი)
2. სატენდერო წერილის პროექტი
3. ხელშეკრულების პროექტი
4. საორიენტაციო მოცულობათა უწყისი, BOQ
5. შუალედური გადახდის სერტიფიკატი
6. ფინანსური გრაფიკი
7. შესრულების გეგმა
8. საპროექტო დოკუმენტაცია

2.3. სამუშაოების დაწყების ვადა განისაზღვრება შესყიდვის ხელშეკრულებით.

2.4. შესრულების სავარაუდო ვადა: 60 კალენდარული დღე.

2.5. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად. ეტაპების განისაზღვრება შესყიდვის ხელშეკრულებით. საავანსო ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამის თანხაზე (არაუმეტეს 10%-სა) საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საავანსო გადახდის გარანტიის საფუძველზე.

2.6. საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას და აღემატებოდეს მას არანაკლებ 30 სამუშაო დღით.

2.7. საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში, გადახდილი საავანსო თანხა გამოიქვითება ეტაპობრივი ანგარიშსწორების თანხიდან შესაბამისი პროცენტული ოდენობით.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა გააჩნდეს გარკვეული გამოცდილება, პროფესიული ცოდნა, რეპუტაცია შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესაბამის ბაზარზე, აგრეთვე ფლობდეს ფინანსურ, მატერიალურ და შრომის რესურსებს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად;

ბ) უნდა იყოს გადახდისუნარიანი, არ იმყოფებოდეს ლიკვიდაციის რეჟიმში, მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა, მისი სამეურნეო–ფინანსური საქმიანობა არ უნდა იყოს შეჩერებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) არ უნდა გააჩნდეს ბიუჯეტის და/ან საკრედიტო დაწესებულების ვადამოსული დავალიანება;

დ) არ უნდა იყოს შეტანილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოებულ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია);

ე) უნდა გააჩნდეს შესყიდვის ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო უფლებაუნარიანობა;

ვ) უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.

3.2. პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) შემსყიდველს უნდა წარუდგინოს წესდების, მოწმობების, ლიცენზიების, ცნობებისა და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ მის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

3.3. შემსყიდველი არ განიხილავს სატენდერო განაცხადს, თუ პოტენციური მიმწოდებელი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრული, არაზუსტი ან/და მცდარი აღმოჩნდება.

3.4. სატენდერო განაცხადებაში მითითებული მონაცემების საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია ტენდერის მიმდინარეობისას განახორციელოს მონაწილეების წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევა. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, პოტენციური მიმწოდებელი შეფასებაზე არ დაიშვება.

3.5. პოტენციური მიმწოდებლის მიერ ტენდერზე წარმოდგენილი ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის გამოცხადების შემდგომ პერიოდში.

3.6. ტენდერის მიმდინარეობისას შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მონაწილეების წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევა პოტენციური მიმწოდებლების (პრეტენდენტების) სატენდერო განაცხადებში მითითებული მონაცემების შემსყიდველის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ დაუშვას შეფასებაზე პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი).

4. სატენდერო განაცხადების წარდგენა. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადა

4.1. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პოტენციურმა მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდინგოს ელექტრონული ფოსტის მიწოდების საშუალებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციების მოთხოვნებს.

4.2. შემსყიდველისათვის წარდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს პოტენციური მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (თუ იგი სარგებლობს ბეჭდით).

4.3. სატენდერო განაცხადში ფასები მიეთითება ეროვნულ ვალუტაში. სატენდერო განაცხადი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე.

4.4. სატენდერო განაცხადი შემსყიდველს გაეგზავნება ელექტრონულ მისამართზე: gdabakhishvili@grada.ge **2026 წლის 14 სექტემბრის** 19:00 საათამდე (შემდგომში - "საბოლოო ვადა") ან წარედგინება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №188. პოტენციური მიმწოდებლის სატენდერო განაცხადის მიღებისას აუცილებელია განაცხადის უშუალო მიმწოდებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის დართვა მისაღებ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელზეც დაფიქსირდება დოკუმენტაციის წარმოდგენის ზუსტი თარიღი და დრო.

4.5. შემსყიდველის მიერ არ განიხილება პოტენციური მიმწოდებლების (პრეტენდენტების) მიერ ვადების დარღვევით წარდგენილ სატენდერო განაცხადი.

4.6. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) კისრულობს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მისი სატენდერო განაცხადის მომზადებასა და წარდგენასთან. შემსყიდველს არ ეკისრება ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, მიუხედავად ტენდერის ჩატარების სპეციფიკისა და შედეგებისა.

4.7. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) ვალდებულია მიუთითოს თავის სატენდერო განაცხადში მისი მოქმედების ვადა. სატენდერო განაცხადები რჩება ძალაში იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, მაგრამ არანაკლებ 60 (სამოცი) დღისა სატენდერო განაცხადების მიღების თარიღის შემდეგ. სატენდერო განაცხადი, რომელზეც მითითებულია უფრო ნაკლები მოქმედების ვადა, ვიდრე ეს მოთხოვნილია სატენდერო დოკუმენტაციით, განიხილება როგორც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამო.

4.8. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადის ამოწურვამდე შემსყიდველს შეუძლია სთხოვოს პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) დამატებით გააგრძელოს აღნიშნული ვადა კონკრეტული დროის პერიოდზე. პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) შეუძლია უარი თქვას აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

4.9. პოტენციურ მიმწოდებელს უფლება აქვს შეცვალოს ან გაიხმოს თავისი სატენდერო განაცხადი სატენდერო განაცხადების წარდგენისათვის დადგენილი საბოლოო ვადის გასვლამდე.

4.10. შემსყიდველი უფლებამოსილია, პოტენციური მიმწოდებლის წერილობითი თხოვნის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით, განმარტოს/დააზუსტოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, რაც ფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და ეგზავნება ყველა პოტენციურ მიმწოდებელს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

5. სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფა

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფა.

5.2. შემსყიდველის ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფის საშუალების ოდენობა განისაზღვრება პოტენციური მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული სამუშაოების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის მეშვეობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სატენდერო განცხადების მოქმედების ვადას.

6. სატენდერო განაცხადის განხილვა და შეფასება

6.1. შემსყიდველი არ განიხილავს შეფასებისთვის სატენდერო განაცხადს, თუ:

ა) სატენდერო განაცხადის წარმდგენი პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) მოცემული სატენდერო განაცხადი არ პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

გ) სატენდერო განაცხადი არ არის გაფორმებული და დამოწმებული დადგენილი წესით;

დ) პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) არ შეიტანა სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფის საშუალება იმ ფორმით, მოცულობითა და იმ პირობებით, რომელიც გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციით.

6.2. შემსყიდველის მიერ სატენდერო განაცხადების შეფასებისას გამოყენებულ იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სატენდერო განაცხადების ღირებულება;

ბ) სამუშაოების შესრულების ვადები და პირობები;

გ) სამუშაოების შესრულების ხარისხობრივი პარამეტრები და ფუნქციონალური მახასიათებლები;

დ) ანგარიშსწორების ფორმები და პირობები.

6.3. პოტენციური მიმწოდებლის მცდელობა ზეწოლა მოახდინოს შემსყიდველის საქმიანობაზე წარმოადგენს პოტენციური მიმწოდებლის დისკვალიფიკაციის საფუძველს.

6.4. შემსყიდველი აჯამებს ტენდერის შედეგებს სატენდერო განაცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

6.5. გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ მიიღება განაცხადით შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ფასისა და ამ მუხლში მითითებული სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. ამასთან, ფასის შემცირების მიზნით, დასაშვებია პოტენციურ მიმწოდებლებს შორის ტენდერის ჩატარება აუქციონის სახით.

6.6. შემსყიდველს არ გააჩნია ვალდებულება გამარჯვებულად გამოავლინოს მინიმალური ფასის მქონე ან სხვა ნებისმიერი პოტენციური მიმწოდებელი და არ გააჩნია არანაირი ვალდებულება დაასაბუთოს რომელიმე წინადადების გამარჯვებულად თუ დამარცხებულად გამოცხადების გადაწყვეტილება.

6.7. შემსყიდველი იტოვებს უფლებას ნებსმიერ დროს შეწყვიტოს ტენდერი. მსგავსი შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს არ გააჩნია პრეტენდენტებისთვის რაიმე სახის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება.

6.8. შემსყიდველი უფლებამოსილია არ განიხილოს მიღებული განაცხადები, უარი განაცხადოს გამარჯვებულის გამოვლენაზე და გამოაცხადოს ტენდერი არშემდგარად, თუ მიმწოდებელთა მიერ შეთავაზებული ფასი და შესყიდვის ობიექტის სხვა მახასიათებლები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. შესყიდვის ხელშეკრულების დადება

7.1. ტენდერით შერჩეულ (გამარჯვებულ) პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან) ფორმდება შესყიდვის ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ტენდერით შერჩეული (გამარჯვებული) პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ შეტყობინებისა და შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის გადაცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ხელს აწერს ხელშეკრულებას ან წერილობით ატყობინებს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის შესახებ.

7.3. შესყიდვის ხელშეკრულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით, სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას და აღემატებოდეს მას 30 კალენდარული დღით.

7.4. თუ მიმწოდებელი გამოცხადებულია ტენდერის გამარჯვებულად და იგი ხელს არ აწერს შესყიდვის ხელშეკრულებას ამ მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დადოს შესყიდვის ხელშეკრულება ტენდერის სხვა მონაწილესთან.

7.5. არ დაიშვება ცვლილებების ან/და ახალი პირობების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში (გარდა ფასის შემცირებისა), რამაც შესაძლებელია შეცვალოს იმ წინადადების შინაარსი, რომელიც წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევის საფუძველს. დასაშვებია ცვლილებების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში ფასის შემცირების ნაწილში იმ პირობით, რომ ხარისხი, მოცულობა და სხვა პირობები, რაც წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევის საფუძველს, დარჩება უცვლელი.

7.6. შესყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები ტენდერში გამარჯვებულ პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან) ხელშეკრულების ფასის შემცირების თაობაზე.

7.7. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების ხელშეკრულების განხორციელების პროცესში შესაბამის სამუშაოებზე შემცირდა ფასები, შემსყიდველისა და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესყიდვების ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილება ფასის შემცირების თაობაზე.

8. სატენდერო კომუნიკაცია (ტექნიკური ნაწილი)

8.1. პოტენციურმა მიმწოდებლებმა (პრეტენდენტებმა) ტექნიკური ხასიათის კომუნიკაცია (ყოვლგვარი ღირებულებითი ნაწილისა და კომერციული ინფორმაციის გარეშე) შემსყიდველის მხარესთან უნდა აწარმოონ შემდეგ ადრესატთან:

გიორგი ბედოიძე, პროექტის მენეჯერი, gbedoidze@grada.ge

თორნიკე ქემოკლიძე, საპროექტო ჯგუფის უფროსი, tkemoklidze@grada.ge

9. კითხვები, გაუგებრობები და ბუნდოვანებები

9.1. ნებისმიერი სახის ბუნდოვანების, გაუგებრობისა თუ ორაზროვნების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ან ტენდერით თუ შემდგომში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცესთან დაკავშირებით, პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) ან მიმწოდებელმა წერილობითი ფორმით უნდა მიმართოს შესყიდვების მენეჯერს (gdabakhishvili@grada.ge). პასუხი წერილობით კითხვაზე, განმარტებები და დეტალიზაციები გაეგზავნებათ ტენდერში მონაწილე თითოეულ წევრს.

10. კონფიდენციალური ინფორმაცია

10.1. ყველა საბუთი, სფეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები და სატენდერო პაკეტის დანართები წარმოადგენს დამკვეთის საკუთრებას. პოტენციურ მიმწოდებლებს (პრეტენდენტებს) არ აქვთ უფლება გადასცენ აღნიშნული ინფორმაცია ნებისმიერ მესამე მხარეს და გამოიყენოს სხვა ნებისმიერი მიზნით, გარდა ამავე სატენდერო წინადადების მომზადებისა.

11. ღირებულება

11.1. ერთეული ღირებულებები უნდა მოიცავდეს ყოველგვარ ზედნადებ ხარჯებს, სახელმწიფო მოსაკრებლებს, გადასახადებს და სხვა ყველა სახის ხარჯს, რომელიც შესაძლოა გამოიკვეთოს პოტენციური მიმწოდებლის (პრეტენდენტის) მიერ საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ამავე ხელშეკრულების მიზნებისთვის ოპერირებისას.

11.2. მნიშვნელოვანია ღირებულებითი ნაწილი, ხარჯთაღიცხვა და სხვა ნებისმიერი კომერციული ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნას მხოლოდ ქვემოთ წარმოდგენილ ადრესატებთან. სხვა ნებისმიერი რგოლის ჩართულობა კომერციულ ნაწილში დაუშვებელია:

ცოტნე სამუშია, სამშენებლო პროექტების დირექტორი, tssamushia@grada.ge

გიორგი დაბახიშვილი, შესყიდვების მენეჯერი, gdabakhishvili@grada.ge

11.3. მონაწილემ სატენდერო წინადადების სახით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

1. ხელშეკრულების პროექტი და მისი დანართები ("Word" ფორმატში ცვლილებების "Track Change"-ის საშუალებით ასახვით);
2. ხარჯთაღრიცხვა (Excel ფაილი);
3. შესრულების გეგმა-გრაფიკი (MS Project ფაილი);
4. ფინანსური გრაფიკი (Excel ფაილი);
5. სამუშაოების შესრულების პროცესების დასაწყებად საჭირო დრო;

6. დამკვეთის მიმართ არსებული ნებისმიერი დამატებითი სახის მოთხოვნა (მათი არსებობის შემთხვევაში);
7. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
8. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის;
9. ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

პოტენციური მიმწოდებლების (პრეტენდენტების) მიერ გამოგზავნილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.